

პროექტი „საქართველოს მომავალი“

ბრძოლა და მსხვერპლშეწირვა: საქართველოს უახლესი ისტორიის ნარატივები

ქეთი სართანია

წინამდებარე სტატია რიგით მეორეა სერიიდან, რომელიც კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს მომავალი“ ფარგლებში ქვეყნდება.

„რომის იმპერია დაეცა, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ არსებობს“, - ამ ფრაზის წარმომავლობა უცნობია, თუმცა მას საქართველოში ხშირად გაიგონებთ. მასში გამოხატულია საყოველთაო სიამაყე სახელმწიფოებრიობის უძველესი ტრადიციის ისტორიული განგრძობადობის გამო, რომელიც, მართალია, რამდენჯერმე შეწყდა, მაგრამ მთლიანად არასდროს განადგურებულა. საქართველომ 1991 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან, ხოლო მომდევნო, 1992 წელს გაეროს წევრი ქვეყანაც გახდა. სწორედ ქართველების სიამაყემ, დაკავშირებულმა სახელმწიფოებრიობასთან, იქონია გავლენა 1989 წლის შემდგომი პერიოდის ისტორიის კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე.

ქართულ საჯარო სივრცეში გავრცელებული ნარატივი ქვეყნის უახლესი ისტორიის შესახებ, ძირითადად, რუსეთისგან განთავისუფლების, ბრძოლისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ირგვლივ ტრიალებს. ქართველები ამყობენ საკუთარი ქვეყნის დემოკრატიული მიღწევებით, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგაც კი ძირითადი ისტორიული ნარატივი მაინც ჯერ კიდევ დაუცველი ქვეყნის შესახებაა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის


ეგზისტენციალურ საფრთხეებთან უწევს გამკლავება. ამ ნარატივის არსებობა, ერთი მხრივ, ნიშნავს, რომ თითქმის არ ყოფილა მსჯელობა 1989-1992 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისას დაშვებულ შეცდომებზე, ხოლო მეორე მხრივ კი - ხელს უშლის ისეთ პრობლემებზე გულახდილად მსჯელობას, როგორცაა საქართველოს კონფლიქტები, ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

დამოუკიდებლობის ზვარაკები ქართველები, მთლიანობაში, სიამაყეს გრძნობენ დამოუკიდებლობის შემდგომ საკუთარი ქვეყნის მიერ აღებული გეზით და სჯერათ, რომ სწორედ ეს არის დემოკრატია. ამას ადასტურებს 2020 წლის სექტემბერში კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის დაკვეთით „საქართველოს მომავლის“ პროექტის ფარგლებში CRRC - საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც. სამოქალაქო ომისა და უამრავი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის ფონზეც კი, გამოკითხულთა 54 პროცენტი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში უფრო მეტი მარცხი ჰქონდა, ვიდრე წარმატება (სურათი 1). რესპონდენტების აზრით, ნებისმიერი ნეგატიური მოვლენა აღიქმება, როგორც აუცილებელი მსხვერპლშეწირვა უმაღლესი ისტორიული მიზნის - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მისაღწევად.

სურათი 1

ქართველების დამოკიდებულება თანამედროვე საქართველოს მიმართ

ეთანხმებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიის შესახებ?



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

მიუხედავად მრავალი განსხვავებისა და ერთმანეთის მწვავე კრიტიკისა, ბოლო პერიოდის ორმა ლიდერმა - ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი წვლილი შეიტანეს 1989-1992 წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას (ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომლის მმართველობა არაერთგვაროვნად ფასდება) შესახებ სელექციური, კოლექტიური მეხსიერების განმტკიცებაში, რომლის შედეგადაც, გარე დამკვირვებლების გასაკვირად, ქართული საზოგადოება საკმაოდ მსუბუქად აღიქვამს გამსახურდიას და მის მმართველობას.

1991 წლის მარტის რეფერენდუმის წინა პერიოდში გამსახურდია და საქართველოს

დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მოძრაობის სხვა ლიდერები საკუთარ ბრძოლას არა იმდენად საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლებისა და ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეას

უკავშირებდნენ, რამდენადაც ორგზის, 1801 წელს რუსეთის იმპერიისა და 1921 წელს, ბოლშევიკების მიერ წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენას.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა 1991 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისას იხელმძღვანელეს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტით, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პირველ რესპუბლიკას, ანუ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ მრავალპარტიულმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ საკუთარი არსებობა მალევე, რამდენიმე წელიწადში, 1921

წელს, ბოლშევიკური წითელი არმიის იერიშის შედეგად დაასრულა. 2020 წლის ინტერვიუში ისტორიკოსმა ბეჟა კობახიძემ აღნიშნა: „ყველა ერს სჭირდება სიმბოლოები სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ეხება დამოუკიდებლობის აღდგენას. ამისთვის კი პირველი რესპუბლიკა ერთადერთი მაგალითი იყო, რომელიც ქართველებს მოეპოვებოდათ პოსტკომუნისტურ პერიოდში“.

1989 წლის 9 აპრილი, როგორც გადამწყვეტი მოვლენა

დამოუკიდებელი საქართველოსთვის საბჭოთა პერიოდში მომხდარი მოვლენებიდან 1989 წლის 9 აპრილი უმნიშვნელოვანესი თარიღია – საბჭოთა არმიამ თბილისში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია სასტიკად დაარბია, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ ტრაგედიამ ბოლო მოუღო კომუნისტური პარტიის რეპუტაციას და საშუალება მისცა ნაციონალისტურად განწყობილ ოპოზიციას საქმე თავისუფალი არჩევნებით დაეგვირგვინებინა.

9 აპრილის მოვლენებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის სურვილის განმტკიცებაში. საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, გამსახურდიასა და ეროვნული ოპოზიციის სხვა ლიდერების თაოსნობით, ერთმანეთის მიყოლებით იმართებოდა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები. პროტესტი, რომელიც დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედებების წინააღმდეგ, რომელსაც სურდა თბილისთან კავშირის შესუსტება, მალე გადაიზარდა მოსკოვის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან დემონსტრაციაში. 8-9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა ხელისუფლებამ დემონსტრანტებს მოუწოდა დაეტოვებინათ მეორე ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ აპრილის ტრაგედიის ორი წლის თავზე გამსახურდიას მიერ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერა. ქართველების კოლექტიურ მეხსიერებაში,

თბილისის ქუჩები. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობას საბჭოთა საჯაროსო შენაერთების შემოსვლა მოჰყვა. 21 დაღუპულიდან უმეტესობა ქალი იყო.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქართული საზოგადოება თითქმის ერთსულოვნად მიიჩნევს 9 აპრილის მოვლენებს ტრაგედიად: გამოკითხულთა 95 პროცენტი ეთანხმება ან სრულად ეთანხმება ამ შეფასებას. ისტორიკოსი **თორნიკე ჭუმბაძე** ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიზანმიმართულად შეეცადა „წარმოეჩინა 9 აპრილის ჟღერა, როგორც „ტრაგედია“, სხვა სიტყვებით - არა წინააღმდეგობის განზრახ ჩახშობის, არამედ ცალკეული თანამდებობის პირების არასწორი გადაწყვეტილების შედეგი, [რათა] პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ადგილობრივი, ქართული და არა ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლებისთვის“. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს ამ მოვლენების კრიტიკული გადააზრების პროცესს.


გამოკითხულთა ორმა მესამედმა განაცხადა, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია პოზიტიური მოვლენა იყო, რადგან ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას (იხ. სურათი 2). 9 აპრილის დადებითი კონოტაცია ქართულ საზოგადოებაში ორ ფაქტორს უკავშირდება. პირველი, ესაა ამ საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული წარმოდგენა ცხრა აპრილის ტრაგედიის, როგორც აუცილებელი მსხვერპლშეწირვის შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ადამიანები შეეწირნენ ყველაზე კეთილშობილურ იდეალს – დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ამ პერიოდის ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს მერაბ კოსტავამ, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, პირდაპირ განუცხადა შეკრებილებს, რომ „**მზადყოფნა მსხვერპლისათვის – ეს არის დადებითი მოვლენა**“.

შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობა მსხვერპლის ფასად მოვიდა. დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღი - 9 აპრილი ემთხვევა დაღუპულთა ხსოვნის დღეს.

სურათი 2

ქართველების მოსაზრებები ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე ცხრა აპრილის ტრაგედიის დადებითი ზეგავლენის შესახებ

ეთანხმებით თუ არა, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ დადებითი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში?



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

ამგვარად, ქართველები 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას აღიქვამენ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის გაღებულ მსხვერპლად. 1991 წლის 9 აპრილს გამსახურდიას გამოცხადებულმა დამოუკიდებლობის აღდგენამ კი დადებითად იმოქმედა როგორც ამ თარიღზე, ისე გამსახურდიას მიმართ დამოკიდებულებაზე.

გამსახურდიას აჩრდილი

ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველ პრეზიდენტად 1991 წელს აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ მან ამ თანამდებობაზე ერთ წელზე ნაკლები დაჰყო, მისი აჩრდილი ჯერ კიდევ იგრძნობა. იმ დროისათვის, როდესაც გამსახურდია ოპოზიციონერი პოლიტიკოსი

გახდა, მას უკვე ჰქონდა ჰეროიკული, ნახევრად მითიური სტატუსი. ახალგაზრდობაში გამსახურდია გამოჩენილი დისიდენტი გახდა და იმ მცირერიცხოვან ქართველთა შორის იყო, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ დისიდენტური საქმიანობისთვის დააპატიმრა.

ბევრი გარე დამკვირვებლისთვის გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდი ქაოსსა და კონფლიქტთან არის დაკავშირებული. იგი ცდილობდა ოპონენტების დემონიზებას და ზოგიერთი მათგანი დააპატიმრა კიდევ. გარდა ამისა, გამსახურდია მგზნებარე ეთნონაციონალისტი იყო, რომლის ქმედებებმაც 1991 წელს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გაღვივებაში

დიდი როლი შეასრულა.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტმა ასობით ადამიანი შეიწირა და ათასობით ქართველი და ოსი იძულებული გახდა საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა. კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია, მაგრამ ერთი რამ ეჭვგარეშეა - გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთია გამსახურდიას და სხვების მიერ წაქეზებული დისკურსი, რომლის მიხედვითაც, ოსებს, როგორც სტუმრებს, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით ნაკლები უფლებები უნდა ჰქონოდათ ქართულ მიწაზე. ორგანიზაციამ Human Rights Watch ასე შეაჯამა იმ დროს არსებული სიტუაცია: „ათობით პოლიტიკური პარტიის წევრთა უკიდურესად ნაციონალისტურად განწყობილი დაჯგუფებები და კოალიცია „მრგვალი მაგიდა“ მგზნებარედ უჭერდნენ მხარს საბჭოთა კავშირისგან სრულ დამოუკიდებლობას, გავრცელებული ლოზუნგით „საქართველო ქართველებისათვის“. თუმცა, ზოგადად, ქართული საზოგადოება გამსახურდიას ბრალეულობას არ აღიარებს კონფლიქტის გაღვივებაში თუ აფხაზეთის ომში, რომელიც მისი მარცხის შემდეგ დაიწყო.

1991 წლის დეკემბერში ოპოზიციამ გამსახურდიას ხელისუფლება ძალადობრივად დაამხო. თბილისის ცენტრში განვითარებულ მოვლენებს ათობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო გამსახურდიამ ქვეყნიდან გაქცევით უშველა თავს. იგი 1993 წელს მცირე ხნით დაბრუნდა საქართველოში და სცადა შეიარაღებული აჯანყება, თუმცა ამ ამბებიდან მალევე გარდაიცვალა. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის გარემოებების შესახებ მეხსიერება


არაერთგვაროვანია: იგი ასოცირდება სამოქალაქო ომთან ან ხალხის მიერ არჩეული ლიდერის წინააღმდეგ მოწყობილ გადატრიალებასთან. 2020 წლის ინტერვიუში ისტორიკოსი დავით ჯიშკარიანი ამბობს, რომ ედუარდ შევარდნაძე, რომელიც გამსახურდიას მემკვიდრეც იყო (როგორც პრეზიდენტი) და მისი წინამორბედიც (როგორც ლიდერი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის რანგში), ლეგიტიმაციის დეფიციტს განიცდიდა, რადგან მისი სახელი საქართველოს „ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტის“ – გამსახურდიას დამხობასთან ასოცირდებოდა.

CRRC-საქართველოს გამოკითხვებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 76 პროცენტი გამსახურდიას დამხობას უარყოფით მოვლენად აფასებს (სურათი 3). გამოკითხულთა 81 პროცენტი ფიქრობს, რომ გამსახურდია ჭეშმარიტი პატრიოტი იყო, რამდენადაც მისი სახელი უკავშირდება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. გამოკითხულთა ნახევრის აზრით კი, დამოუკიდებლობის აღდგენა გამსახურდიას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა (ასევე სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1991 წლის რეფერენდუმში 31 მარტს, გამსახურდიას დაბადების დღეს, გაიმართა, რაც დადებით შტრიხს მატებს მის პიროვნებას და კიდევ უფრო ამყარებს ასოციაციურ კავშირს მასსა და დამოუკიდებლობის აღდგენას შორის). ამასთან, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის უმეტესად უარყოფითი ან გაურკვეველი დამოკიდებულებაა საქართველოს პირველ პრეზიდენტთან დაკავშირებით.

სურათი 3

ქართველების დამოკიდებულება გამსახურდიას მიმართ

ეთანხმებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შესახებ?



წყარო: კარნევის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი 2020

საქართველოს ბოლო ორმა ლიდერმა, სააკაშვილმა და ივანიშვილმა, ხელი შეუწყეს გამსახურდიას რეაბილიტაციას. სააკაშვილის ინიციატივით გამსახურდიას ნეშტი ჩეჩნეთიდან საქართველოში გადმოსვენეს და მთაწმინდის პანთეონში, სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების გვერდით დაკრძალეს. გამსახურდიას (სიკვდილის შემდეგ) ასევე ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. 2007 წლის 31 მარტს გამართულ [სამოქალაქო](#)

[პანაშვიდზე](#), რომელიც ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან სამოცდამერვე წელს მიემდვნა, სააკაშვილმა საქეზარი სიტყვები არ დაიშურა ყოფილი პრეზიდენტის მიმართ და ხაზი გაუსვა, რომ მას, გამსახურდიასგან განსხვავებით, სჯერა საქართველოსი, როგორც მრავალეთნიკური საზოგადოებისა.

ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა გამოიყენა გამსახურდიას რეპუტაცია საკუთარი, როგორც საქართველოს ეროვნული ლიდერის ამბიციების დასაკმაყოფილებლად: „საკაშვილს სჭირდებოდა გამსახურდია, რათა წარმოეჩინა საკუთარი თავი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავად გამსახურდიას მემკვიდრედ“, – განაცხადა ბაქრაძემ 2020 წელს

ჩაწერილ ინტერვიუში. „ერთი მხრივ, მას სჭირდებოდა გამსახურდიას მრავალრიცხოვანი მომხრეების მობილიზება, ხოლო, მეორე მხრივ, ლეგიტიმაცია“. ბაქრაძის აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ სააკაშვილმა საკუთარ პოლიტიკურ პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უწოდა, რომელიც 1990-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მოდერნიზებულ სახელწოდებას წარმოადგენს.

ივანიშვილი, სააკაშვილის მოწინააღმდეგე და დაუპინძელი მტერიც კი, დაეთანხმა გამსახურდიასთვის ეროვნული გმირის წოდებას. 2019 წელს ივანიშვილმა მოინახულა [დასავლეთი საქართველოს სოფელი ხიბულა](#), გამსახურდიას გარდაცვალების ადგილი და განაცხადა, რომ იგი აპირებს „დააფინანსოს მუზეუმის მშენებლობა, რომელიც პატივს მიაგებს განსვენებულ პრეზიდენტს, ასევე [დააფინანსოს] ეკლესიისა და პარკის გაშენება მუზეუმის მიმდებარედ“.

ქართული საზოგადოებისთვის, გამსახურდიას ორაზროვანი მემკვიდრეობა დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობით არის გადაფარული. მისი გადმოსვენება სახელმწიფო დონეზე მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ნებისმიერი კრიტიკა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ

ნაბიჯად იქნება აღქმული. გამსახურდიას კრიტიკა ვერანაირ სარგებელს ვერ მოუტანს ქართველ პოლიტიკოსებს. მიუხედავად მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორებისა და მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი გარემოებებისა, გამსახურდია ისტორიას გამარჯვებულად შემორჩა და ჯერ კიდევ რჩება ლეგიტიმაციის წყაროდ ქართველი პოლიტიკური ლიდერებისთვის.

სამი ლიდერი, ერთი საქართველო

CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქართველების 63 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში, ძირითადად, ინდივიდები დომინირებენ და არა ინსტიტუტების მიერ მართული პროცესები (იხ. სურათი 1). გამსახურდიას გამეგების შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ სამი რეჟიმი გამოიცვალა. თითოეული მათგანი ასოცირდება ძლიერ და ქარიზმატულ პიროვნებებთან - შვეარდნაძესთან, სააკაშვილთან და ივანიშვილთან.

ამ ლიდერებმა არაერთხელ გამოხატეს ერთგულება დემოკრატიისა და საგარეო პოლიტიკის პროდასავლური კურსის მიმართ. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი შეეცადა, ისტორიის ათვლა საკუთარი ხელისუფლებაში მოსვლიდან დაეწყო.

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის დაპირებების კვალდაკვალ, ყველა ჩამოთვლილი ლიდერი ასევე შეეცადა მხარდაჭერის მობილიზებას წინამორბედისგან მკვეთრი გამიჯვნის ხარჯზე.

ედუარდ შვეარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი და პრეზიდენტ გორბაჩოვის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, სამშობლოში 1992 წელს დე


ფაქტო ლიდერის სტატუსით დაბრუნდა. იგი 1995 წელს აირჩიეს პრეზიდენტად. ამ თანამდებობაზე მან 2003 წლამდე დაჰყო, როდესაც ზეწოლის შედეგად გადადგომა მოუწია.

შვეარდნაძის პრეზიდენტობა მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა: რუსეთის ნაკარნახევ სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერა სამხრეთ ოსეთთან, დასავლეთ საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, ეკონომიკური კრიზისები და უშუქობა. იყო წარმატებებიც საგარეო პოლიტიკაში, რამდენადაც საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გააკეთა განაცხადი ნატოს წევრობაზე, წამოიწყო მსხვილი ნავთობსადენების გაყვანის პროექტები და წარმატებით დააგვირგვინა მოლაპარაკება რუსული სამხედრო ბაზების ქვეყნიდან გაყვანის შესახებ. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების საკმაოდ შთამბეჭდავ ნაწილს (28 პროცენტი) გაუჭირდა დაესახელებინა შვეარდნაძის ხელისუფლების თუნდაც ერთი წარმატება, ხოლო 34 პროცენტის აზრით, წარმატებული შემთხვევები შვეარდნაძის ხელისუფლების ყოფნის დროს საერთოდ არ ყოფილა.

ქართველების უმეტესობისთვის შვეარდნაძის მთავრობის ყველაზე დიდი ფიასკო ეკონომიკურ კოლაფსს უკავშირდება (იხ. სურათი 4). მისი მმართველობა სწრაფად და მშვიდობიანად დასრულდა 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციით, რომელიც გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის შვეარდნაძის მმართველობა ეკონომიკურ სიღუბლიერსა და ღრმად ფესვგამდგარ კორუფციასთან ასოცირდება. ვარდების რევოლუციის შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისას რევოლუციის ლიდერის - სააკაშვილის ლოზუნგიც „საქართველო შვეარდნაძის გარეშე“ იყო.

სურათი 4

ქართველების მოსაზრება შვეარდნაძის ხელისუფლების ყველაზე დიდი მარცხის შესახებ



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

საკავშირებო ხმების **96 პროცენტით გაიმარჯვა** 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში და ევროპის ყველაზე ახალგაზრდა ეროვნული ლიდერი გახდა. 1992 წლის მსგავსად, ახალი ლიდერის გზავნილი უკავშირდებოდა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროექტის ნულიდან დაწყებას, ანუ 2003 წლის რევოლუციამდე **სახელმწიფოს არარსებობაზე** აპელირებას.


საკავშირებო შეცვალა ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოები. 2004 წლის მაისში, რევოლუციიდან 6 თვის თავზე, ქვეყანაში შეიცვალა ეროვნული ჰიმნი. ახალი ჰიმნი „თავისუფლების“ სახელწოდებითაა ცნობილი. ასევე შეიცვალა გერბი და დროშა, რომელმაც ჩაანაცვლა პირველი რესპუბლიკის დროინდელი და 1991 ხელახლა მიღებული დროშა. 2005 წელს, ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **„ჩვენი სულიერი, ისტორიული მისიის შესრულების დრო დადგა“**.

2003-დან 2012 წლამდე პერიოდში საქართველოს მეხსიერების პოლიტიკაში რამდენიმე ძირითადი თემა გაჩნდა: სიმბოლოების მეშვეობით ახალი იდენტობების რეკონსტრუქციის მცდელობა, ზოგიერთი ისტორიული მოვლენის ხელახალი ინტერპრეტაცია და რუსეთთან ურთიერთობების ტრანსფორმაცია (პარტნიორიდან მოწინააღმდეგედ). პოლიტიკის მკვლევარ თამარ ქარაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაიწყო სახელმწიფოს შენების ახალი ფაზა“.

CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის რესპონდენტებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნიეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ეკონომიკური ზრდა, მაგრამ იგივე ხელისუფლება დაადანაშაულეს ადამიანის უფლებების დარღვევასა და იმაში, რომ 2008 წელს თავიდან ვერ აიცილა რუსეთთან ომი (იხ. სურათი 5).

სურათი 5

ქართველების მოსაზრება სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდი მარცხის შესახებ



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

2012 წელს საქართველოში კიდევ ერთხელ შეიცვალა ხელისუფლება, როდესაც სააკაშვილის პარტია არჩევნებში დამარცხდა პარტია „ქართულ ოცნებასთან“, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი, ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი, ედგა სათავეში. ივანიშვილმა არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრის სავარძელი დაიკავა. წინამორბედისგან განსხვავებით, „ქართული ოცნება“, რომელმაც ასევე მიყოლებით მოიგო 2016 და 2020 წლების არჩევნები, იშვიათად იყენებს შორეულ წარსულს მხარდაჭერის მობილიზებისთვის. ამის ნაცვლად, ივანიშვილი აპელირებს სააკაშვილის ხელისუფლებასა და პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“ პერიოდზე. ამით „ქართული ოცნება“ ცდილობს აჩვენოს, რომ ამჟამინდელ პოლიტიკურ კონტექსტში მასზე უკეთესი პარტია არ არსებობს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ყველაზე დიდი ჩავარდნა, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეკონომიკური სტაგნაციაა. ამ მოსაზრებას რესპონდენტთა 26 პროცენტი ეთანხმება.

საქართველოში ჯერ კიდევ დომინანტია სააკაშვილისა და ივანიშვილის ოდიოზური ფიგურები – პარტიებმაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების ყველაზე

დიდი რაოდენობა მოაგროვეს. ეს შედეგი ართულებს მათი ხელისუფლებების მიღწევებისა და მარცხების, როგორც წარსულის, შესახებ დისკუსიას. საერთო ჯამში, გამოკითხვის რესპონდენტებს გაუჭირდათ გაეხსენებინათ პოსტსაბჭოთა საქართველოს ხელისუფლებების წარმატებები. თუმცა, არ გაჭირვებიათ დაესახელებინათ მათი ჩავარდნები.

დასკვნა

ქართველების აღქმით, დამოუკიდებლობის შემდგომი 30 წლის ისტორია აღიქმება სუვერენიტეტის მოპოვების, დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსეთისგან დეკოლონიზაციის ამბად. ისტორიის მხოლოდ ამ ნაწილზე ფოკუსირება ჩრდილქვემ ტოვებს ყველაფერ დანარჩენს: პოსტსაბჭოთა საქართველოს კონფლიქტებსა და ეთნიკურ უმცირესობებს. კონფლიქტები განიხილება, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მუდმივი ბრძოლის მდგენელი. ისტორიის მეინსტრიმის ნარატივის მიხედვით, ამ ყველაფერს სათავე დაუდო 1989 წლის ცხრა აპრილის მოვლენებმა. ისტორიკოსები

კი მოკრძალებით სვამენ კითხვას: შეძლებდა თუ არა ქვეყანა გამხდარიყო დამოუკიდებელი, რომ არა 9 აპრილის ტრაგედია?

დამოუკიდებლობის სამმა ათწლეულმა ასევე დააკავშირა ქვეყნის ისტორიული ნარატივი და სახელმწიფო პოლიტიკა ინდივიდუალური პოლიტიკურ ლიდერებთან. პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა პოლიტიკური ლიდერის ხელისუფლებაში მოსვლა ეფუძნებოდა წინამორბედისგან გამიჯვნას, რამაც, თითოეულის შემთხვევაში, ლეგიტიმურობის კრიზისი გამოიწვია. ცვლილება აუცილებელია, თუმცა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ლიდერის ცვლილება, პოლიტიკის ცვლილების გარეშე, მხოლოდ დროებით აუმჯობესებს სიტუაციას და გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებაში იმედგაცრუებასა და პოლარიზაციას აღვივებს.

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართული საზოგადოება ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფოსა და კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერს: მაშინაც კი, როდესაც ლიდერს ლეგიტიმურობა აკლია, სახელმწიფო განაგრძობს სწორი, ისტორიული გზით სვლას. საზოგადოების აღქმაში სახელმწიფო ხანგრძლივ ისტორიულ მოგზაურობაში იმყოფება, ხოლო პოლიტიკური ლიდერი ამ მოგზაურობის მხოლოდ დროებითი პერსონაჟია. საქართველოში ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2010 წლიდან ჩატარებული [ყოველწლიური გამოკითხვების](#) მიხედვით, ქართველებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობა და

სიღარიბეა, რომლის შემდეგაც მოდის ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა.

თუ 1990-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მიზანს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა, თანამედროვე ნარატივის მიხედვით, საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. შესაბამისად, უმთავრესი მიზანი მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა. რუსეთი, მის მიერ ოკუპირებული აფხაზეთითა და სამხრეთ ოსეთით, განიხილება, როგორც ეგზისტენციალური საფრთხე, რომელიც უბიძგებს საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ. შედეგად ვიღებთ პოლიტიკურ ფორმულას, რომლის მიხედვითაც, ჯერ დამოუკიდებლობაა განსამტკიცებელი და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე ლოგიკურია შეკითხვა – არის თუ არა საქართველო შემდგარი სახელმწიფო? ეს შეკითხვა პასუხაუცემელი დარჩება იქამდე, სანამ ქართველების აღქმაში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ დაუსრულებელ პროცესს წარმოადგენს. სხვა ისეთი საკითხები, როგორც კონფლიქტები და ეროვნული უმცირესობები, ნაკლებად იმსახურებენ ყურადღებას. უახლესი ისტორიის ნარატივი, რომელიც ფოკუსირებულია ეგზისტენციალურ საფრთხეებზე, ქმნის განგრძობადი საგანგებო მდგომარეობის განცდას. და ამდენად, ყველა სხვა საკითხი მხოლოდ ამ პრიზმიდან განიხილება.

ავტორის შესახებ

ქეთი სართანია დამოუკიდებელი მკვლევარია, რომელიც თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. მისი კვლევითი ინტერესებია: ნაციონალიზმი, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, იდენტობის ფორმაცია და სოციალური მოძრაობები.

პროექტი „საქართველოს მომავალი“ ხორციელდება კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან

მიქელაძის ფონდის მიერ შვედეთის სამთავრობო ოფისისა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

შენიშვნები

დოკუმენტში წყაროები მითითებულია ე.წ. ჰიპერლინკებად, რომლებიც ძირითადი ტექსტიდან მწვანეფერად არის გამოყოფილი.

